

ძრისტეს მხედარი

სადა ხარ, ზურა, ჩვენი თეორიის მხედარი, ნუთუ დაგკარგეთ? არა, კი არ დაგკარგეთ, გიპოვეთ... გიპოვეთ "ფეხა-დამული ქრისტეს საყდარი". ეს შენ ხარ თეორიის მხედარი ამხედრებული წმიდა გიორგი, შუბით ხელში რომ თრგუნავს გველეშაპს. შენი შუბი - ეს შენი სიტყვა იყო, უფლის სიბრძნე, ყოველგვარი ბოროტების და-მარტონველი და სამშობლოს მხსნელი...

დღესაც გვგირდება ეს შენი სიტყვა. გვიხარია რამე, რითიმე გვანუგეშე, და-აშოშმინე ჩვენი მშფოთვარე გულები, მა-ლამოდ მოეფინე ჩვენს დაჭრილ სულს, შე-ნებური, ღვთიური სიყვარული გვასწავლე, მოყვასისათვის ცხოვრება გვასწავლე, ღმე-რთი გვაპოვნინე, ზურა! შენა ხარ ჩვენი შუამავალი ღმერთთან, შენა ხარ ჩვენი სალოცავი ხატი, რამეთუ "სახელ გვექმენ სიტყვითა, ცხოვრებითა, სიყვარულითა, სულითა, სარწმუნოებითა, სიწმიდითა".

აგერ, ახალი წელიწადი მოვიდა, ცხე-ნის წელიწადი. თეორიის მხედარი, თეორიის მხედარი - ეს ხომ სიბრძნეა თავისუფალი სა-ქარაველოსი. ნუთუ ჩვენი წელიწადი მო-ვიდა და "ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვე-ყუდნეს?"

მაშ, მოდი, ზურა, - ქრისტეს მხედა-რო, მოძებნე შენი თეორიის რაში და გაგ-ვიძებნი წინ, ერთად გადავევლო ჩვენს საქარაველოს. ჩვენ ხომ სიღალღე და თა-ვისუფლება გვწყურია. მოდი და გვატარე წმიდა ილია მარალის გზაზე, განგვიმტ-კიცე ჩვენი ერთარსებობა - ერთიანი რწმენა, ენა და მამული და გვაპოვნინე ასე ნანატრი თავისუფლება. წმიდა, ძლე-ვაშემოსილი და საკვირველმოქმედი გიო-რგი იყოს ჩვენი მხარვედი.

ბეტან ჩიხორლიშვილი

"და დაილოცა ნათელი თემოსილი"

თეორიის მხედარი ამხედრებული უღამავისი თეორიის მხედარი მოუძღვება სამგლოვიარო პრეცედენტს კახეთის გზაზე. სრულიად კა-ხეთის სადროშო გამოსულა, შავ ღრმებს უბრის და მისთვის დამახასიათებელი უბ-რალეობით, მაგრამ დიდის გულით და ღრმად დასტირის თეორიის მხედარს - კახთა სადროშოს გამირთა - ჭავჭავაძეა ღირსეულ შთამომა-ვაღს!

რა აღგვიკურია და უსაშველო უსამართ-ლბაა; ზურა, შენი სიკვდილი! ბუნების კანონზომიერებით შენ უნდა შეგებებოდი 1990 წელს, ცხენის წელს. ცხენი ხომ შენი უსაყვარლესი ცხოველია. ყვარელს კარგად ახსოვს ზაფხულში ცხენზე ამ-ხედრებული მშვენიერი ბავშვი, შემდეგ კი ჭაბუკი, რომელსაც ცხენდაცხენ შე-თავადი პქონდა ყვარლის თითოეული გო-ჯი მიწა, მისი ტყე თუ ველ-მინდორი. ეს წინაპარა სისხლი ყიოდა, ზურა, შენში, შენი მშობლიური მიწის სიყვარული თუ

გემახლა ასე მალედა!.. ეს წელი ხომ შენი გამარჯვებების წელი უნდა ყოფი-ლიყო! ასეთი იყო სიკეთის, სამართლის ნება!

მაგრამ ბოროტმა იმარჯვა, შავმა ძალამ იმარჯვა, ზურა! ის, დადარაჯე-ბული, ხელავდა, თუ როგორ ნელ-ნელა ჯკრებდა ძალას შენი ილიასეული ბრძო-ლის გზა, ხელავდა, თუ როგორ შლიდი ფრთებს, როგორც სამართლიანი, პუმანუ-რი და ინტელექტუალური რაინდი ეროვნუ-ლი მოძრაობისა. ამიტომ არ გაპატია მან, ამიტომ არ გაცადა. შენ, ასე ახა-ლგაზრდას, გასვეს სიციცხლეშივე მწარე სამსალა წუთისოფლისა. თუ დიდ ილიას უკვე მოხუცებულს მოუსწრავს სიციცხლე პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა, შენ ასე ახალგაზრდას. ვინ?! ვინ?! თუ შენი დიდი წინაპარი თითქმის ბოლომდე გაიხარჯა მამულისათვის, შენ რატომ არ გაცაღეს? აქნებ იმ ბრძენსაცმა საუკუ-ნით წინ გაიხელდა და განგვირტა შენი

ისტორიული მისია შენი სათაყვანებელი სამშობლოს წინაშე! მაგრამ...

დღეობული უბრალოებით აღსავსე ბა-ტონი ნიკო - მამაშენი ამბობს: "ასე არჩია ზურამ, თვითონ იწედა ამ მწარე წუთისოფელს გაყრა. იქნებ ახლა მანაც მიიღოს ჩემი ხალხი გონსო! აქნებ ახლა მანაც დაინახოს კაცი მართალი და გზა სამართლიანი!" რა მიმიღე მოსასმენია ყოფილივე ეს გამწარებული მშობლისაგან. ნუთუ მართლა ასეთი ბრწყინი და უსამა-რდლონი ვართ ქარაველი? ნუთუ მხოლოდ იმისთვის არის საჭირო ასეთი დიდი მსხვერპლი, რომ განგვიწაფოს გონება სამართლიანობამ? თუშეა განგვიწაფა კი?..

როდემდე უნდა ვუკრად ტაში განდღე-ბის მანიით შეგყრობილ? როდემდე ვერ უნდა ვხედავდეთ ჩვენს გვერდით ვერმე-რიტ მამულიშვილებს?..

ახალი წლის პირველ დღესვე მოვეა-ხელნი შენს წმინდა საფლავს, ზურა!

რა საოცარი შუქით ბრწყინავდა, რა თბი-ლი და ღამაზი შემოგვეგება ჭავჭავაძეთა საგვარეულო ეკლესია! ეს შენი ნათელი სული შემოგვეგება! ასეთი საოცარი სუ-ლის აღზევება იგრძნო თურმე შენმა ხა-ლმა სიონშიც, როდესაც შენ გემშვილო-ბებოდა! არასდროს თურმე ასე ახლს არ უგრძნიათ ღმერთი! ეს შენ დაუახლოვე შენი ერი ღმერთს შენი ჭეშმარიტად ქრ-სტიანული, ნათელი სულის ძალით, ზურა!

და მწამს, გადაუქროლა ახალი წლის ღამის ყვარლის მთებს თეორიის მხედარმა და ამხედრებულმა უღამავისმა მხედარმა და დალოცა ქვეყანა თვისი. ღმერთო, უსმინე ზურაბ ჭავჭავაძის ნათელ სულს! გამაღ-ვიძებ ქარაველი ხალხი! მოაბრუნე სიცი-თისაკენ! დაანახე მას ერთადერთი ჭეშ-მარიტი ილიასეული ბრძენი გზა, მიზა-ვალი ქრისტიანული, თავისუფალი, განთ-ლებული, ბელნიერი საქარაველსაკენ!

ღმერთო, უთხოვე მამული ზურაბ ჭავ-ჭავაძეს!

იზა სიფრაშვილი


საქართველოსთვის და აღდგენის

"სად ზვირთნი მტკვრის და არაგვის და საქართველოს ამბავებსა ერმანეთს ეგებებიან, ოხვრითა ეუბნებიან."

ივერიის ხსნის მისიით მოვლენილი, მზიდველი სათუთი და საპატო ტვირთისა, რომელსაც ერისა და სამშობლოს სამსახური ჰქვია, ერის სამრევლო ჰქვია. სწორედ ამ უმძიმეს ვაღს იხილენ სახელგანთი ერისკაცები - მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე. ზურაბისთანა და მერაბისთანა ადამიანები აღაზრებენ, ამწვენიერებენ ჩვენს ცხოვრებას. ისინი სწორედ იქ ღებოდნენ, სადაც ერს უჭირდა, ერის ტვირთი ტკოდა, ერის წყლული წყლულად აჩნდა. როდესაც საჯარო სიტყვით გამოდიოდნენ, ფიქრობდნენ არა მარტო იმაზე, თუ როგორ ესმოდა ესა თუ ის მოვლენა ქართველ კაცს, არამედ იმაზეც, თუ როგორ მიიღებდა და გაიგებდა იგი მათ სიტყვას. და, ქართველი კაცი იღებდა, იგებდა და იგებდა მათს გზიან, გზიან სიტყვას.

მერაბისა და ზურაბის შთაგონებული სახეები ცოცხალ, მარადიულ მოგონებად დარჩებიან ჩვენს მეხსიერებაში. ისლა დაგვრჩენია, ვილყოთ მათთვის, შეგავედროთ ღმერთს მათი სულები. საქართველოს არაფერი გაუჭირდება, თუ ჩვენ გავაგრძელებთ მათს იდეებს. მივალწევთ ნათელ მზასს, თუ ზურაბისა და მერაბის გზას გავყვებით. მოვუწოდებ მთელ ქართველ ერს, მათ, ვინაც თვისი ბედი ეროვნულ მოძრაობას დაუკავშირა, იყვნენ ჯანბილად, მტონიონ ჩვეული სმარტნი, სიღინჯი, რაც ჩვენს წინაპრებს ძნელბეღობის ფაშს სჩვევიათ, ხშირად ხმაზე მეტად რომ იცავდა საქართველოს. რათა მოძებნოს ის საჭირო გზა, რომელიც ერისთვის სარგებლიანი იქნება და რომელიც ტამართან მიგვიყვანს.

ეთერ ლუარსაბიშვილი



"მას, ვისაც დახატული გზე არ ათხოვდა"

ზამთარია, გრძელი და ყინვიანი ზამთარია საქართველოში. პირველი ყინვა აბრიალდა მტკვრისა და მას მერე დაბობას აღარ აპირებს თითქოს. სამდენი ღამეა სიცოცხლე წავგარდა ავადასახსენებელმა გასულმა წელმა, სამდენი სისხლი და ცრემლი დაგვადინა და აი კიდევ... მუხივით დაგვატყდა თავს შენი სიკვდილი! როგორ გყვარებია მერაბ კოსტავა ძმაო, ზურაბ! ცხოვრებაში გვერდიდან არ მოსცილებიხარ და არც იმ ქვეყნად გაიმეტე მარტო დასარჩენად, მაგრამ ვაი, რომ დღეს ისე სჭირდები ქვეყანას, როგორც არასოდეს, გიხმობს ცრემლიანი საქართველო, ოხრავს სევდიანი ყვარელი! ვეგვარ ნათლიმცემლის ეკლესიაში და შენს სურათს შეგცქერი. ასეთი არასოდეს დამინახიხარ, ჩემს მეხსიერებას წვეროსანი ზურაბი ახსოვს, აქ კი... წმინდა გიორგივით თუ ცხენზე ამხედრებულხარ და ცეცხლი გინთია თვალებში, სამშობლოს სიყვარულის ცეცხლი. ამ ერთ სურათში მთელი შენი ცხოვრების დანახვა შეიძლება, ყოველი ილემენტი მასში სიმბოლურია და ამასთან დისახსივარი.

ბაღია შენი სიკვდილი, რადგან ბევრი აღარ შემოარჩა ქვეყანას შენისთანა შვილი. შენ ის კაცი იყავ, რომელიც ჩაძინებული საქართველოს მაჯისცემის უგებელი ყურს შემოთავაზებდა, ძილში რომ არ წამხდარიყო, შენ ის კაცი იყავ, დახატული მზე რომ არ გათბობდა და მარტალი მზის საძიებლად რკინის ქაღალდის ჩაცვი, ბევრი ტანჯვა გამიოარე, მაგრამ არ გაბტყდარხარ, შენ ის კაცი იყავ, კისაც დამსახურებულად უნდა ეზეიმა საქართველოს გაზაფხული. ჯერ კიდევ თვალებზე დავახიჯებს ქვეყნად სიმართლის ქალმერთი თემიდა, მაგრამ დარდი ნუ გექნება ზურაბ, საქართველო ახალი დილისათვის ემზადება, დიდი სინათლისთვის ემზადება! ყვარელშიაც იხარეს ნერგებმა, პირდაპირ ყინულები ამომტვირთეს და ისე ამოიზარდნენ, გულში წმინდა კელაპტაროვით ერთი მიზანი უნთიათ; შენი დაწყებული საქმე გააგრძელონ და საფლავში ჩამოგაბახონ, მოგახარონ საქართველოს თავისუფლება!

ლია გიგიტაშვილი

აღრიანად დაავალი საქართველოს



არ გვჯეროდა, არავის არ გვჯეროდა, თუ ასეთი სიმწრით მოსხურებული დიდა გათენდებოდა. იმდენად ძლიერი იყო სურვილი შენი გადარჩენისა, თავს ვაჯერებდით, ზურაბი გადარჩაო. თბილისიდან ყვარელში დაბრუნებულს რამდენჯერმე მათქმევინე ასეთი ტკბილი ტყუილი. ახლა უკვე აღარავინ დამიჯერებს შენი კარგად ყოფნის ამბავს.

მამაშენი მეცოდება, ზურაბ!.. ისტორიის მატთანემ კიდევ ერთი ტკივილით სავსე წელიწადი ჩაიკრა გულში. საოცრად მეჩქარება ამ თვის ბოლო დღის მოახლოება. დავიდალე ამდენი უბედურებისაგან. ვაი, რომ არც შენ დაგინდო ბედისწერამ და აღრიანად დაავალი ისედაც ტკივილადქვეულ საქართველოს. ყვარელი იყავი და მემამაცობილი. შენც გიყვარდით, ძალიან გიყვარდით. მახსოვს, ბავშვობაში როგორც კი დროს მოიხელებდი, ჩვენსკენ მოდიოდი. გლებთან ყოფნა და ცხენზე ჯირითი ყვებამერს ბერჩია.

დიდი იყო. ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველოში ეროვნული მოძრაობა ასე გაძლიერდებოდა, ყვარელში, ილიას ბაღში შენი უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. ძალიან გიხაროდა, ბიჭები რომ ამოგიდგნენ მხარში, მაგრამ ვაი, რომ უღრთოდ მოგივიდა დალატი, თუმცა ეს შენი დალატი კი არა, ბედისწერის დალატი იყო.

სამწუხაროა, მაგრამ არ შემიძლია სიმწრით და სირცხვილით არ გავიხსენო ბოლო ჩამოსვლა ყვარელში. ვიცო, ის დღე ყველაზე მტკივნეული იყო შენს ცხოვრებაში. საბედნიეროდ, იმ დღესაც გაიმარჯვა სიყვარულმა ბოროტებაზე, ჭკუამ უბურებდაზე, მაგრამ ენით დაკოლიდის იგავარაკისა არ იყოს, გატეხილი გულის გამართლება ყველაზე ძნელი ყოფილა ადამიანებისათვის. ამ გატეხილ გულს კი არავის აგრძნობინებდი, მიტევიების დიდი უნარი გქონდა და იმიტომ. ამბობენ, ადამიანის სიკვდილი სხვა ადამიანისათვის სულის განწმენდის ყველაზე კარგი საშუალებააო. იქნებ ღმერთს შენი სიკვდილიც ამისთვის სჭირდებოდა, ზურაბ!

თამარ მოლაშვილი



თ ი თ რ ი რ ა შ ი დ ა ე მ ე ბ ს მ ხ ე ლ ა რ ს

ჰაერი დათბა. მზე დაპნათის კაცკასიონის მთებს თოვლით შემოსილს. რა საოცრად ბრწყინავენ მთები, რა კამკამაა, რა უშიროა, რარიგ ლურჯია ზეცა. რა ამბავად, რა გორბად, რა მშვიდად დგანან ყვერლის მთები! უხვად იღვრება მწათობი ღვინა. სით არ იძვრის. სასწაულებრივი ნათლითაა გავსილი ეთერი. ღვე ტირისკონისა, ასეთი გა-
მორჩეული, მხცოვანი და უხუცესი არ ახსოვთ. მოლოდინი, მოლოდინი. დაკოყრული თი-
თებისკვეთ შავი ნაბდის ქულები ითვლება, იჭმუჭნება, ისრისება. ნაბდის პატარა
ქულები, კახელები თუშური რომ ვეძახით. გაქვავებული სახეები, გმინვა, მხვრა,
ამოძახვა: მოგვიკლეს!.. სატანამ გაიყინა!.. ახია ჩვენი!.. მეტის ღირსნი
ვართ!.. პაი, დედასა, ვის უნდა მივაყარო მიწა!..

ქართული აგური ამოგებულ სარკოვანთან ოსტატები გარინდლან. მალე მასზე თალი
გადაივლის, დაეყრება წმინდა მიწა ყვარლისა და ამით დამთავრდება ყველაფერი...
რათ, ყველაფერი დამთავრდება? ნურას უკაცრავად, ახლა დაიწყება უმთავრესი!..

ჩვენ მას ვერ გავუბთ, ვერ მოვუფრთხილეთ, ვერ შევქმნიეთ და ვერ შევიცვანთ
იგი. იმდენად მალე იღვა, ვერ ჩავწვდით მის აზრებს, მის გზას და, რაც მთავა-
რია, ვერ ღავინახეთ მასში ადამიანი, რომელსაც ერი ტაძართან უნდა მიეყვანა.
და მან წასვლა ამჯობინა, რათა თანამომხმენი თვისნი, ბრწყინი და უბუნური, დაბ-
ნეულნი და ჰკუაგადასულნი თავისი წასვლით მართალ გზაზე დაეყენებინა. ასე ამბობენ,
ასე ფიქრობენ. სწორია კი? იგი ხომ ახლა შიდა ფრთხილს...

მოლოდინი. ჩრდილები დაგრძელებას იწყებენ. გარინდული ხაღბი. მზე. უსახლვრო
ღურჯი ცა. მთები დაყუდებული, დაბერებული; გასპეტაკებული უმანკო სითეოთ.
ხახადალებული აგურის სარკოვანი. მხედარული, დაღარული, გაქვავებული სახეები.
ღერქათა სიშავე და სიმრავლე...

ქალქის შემოსასვლელი. ღილი წინაპრის ხატებასთან თანამებრძოლი მისნი შეკ-
რებიან. ელიან. ვერ ისვენებენ. ერთ ადგილზე ვერ ჩერდებიან, არ სჯერათ და არც
დაიჯერებენ. ცნობიერების გარეშე მოქმედებენ. სახეები გაყინვიათ, კრიკა შეკვ-
რიათ. ღრუღარო ერთმანეთს აჩერდებიან, აკვირდებიან თვალში, უსაშველო სევდა
და მწუხარება რომ დასენაკებულია. ეკვირან, ეფერებიან ერთმანეთს. ვერ შეუგნიათ
და დიდხანს, ძალიან დიდხანს ვერ შეიგნებენ, რომ ისინი ობლები არიან, რომ მათ
დაკარგეს კაცი, რომელიც ასე ძალუძალ უყვარდათ...

მოლოდინი...
მაცნე. ათოვდ წუთში აქ იქნებიანო. ჩოჩოლი. ჩაღისფრდომიანები წინ გაიჭრ-
ნენ. ტილოზე ამოქარგული წმინდა გიორგის გამოსახულებიანი ღერბი და ვარდისფერ-
წითელი ღრუბი, ფრთოსანი ცხენი რომ იყო ამოქარგული, ესენიც თან გაიყოფეს.

მბილა. ცა და მიწა ასე ახლოს ერთმანეთთან არ ყოფილა არასდროს. სით არ იძვ-
რის. ჰაერი მოლოდინითაა გაფლენილი. მწვერვალს აღწევს დაბაბულაბა. ბელურებებს
გულბრწყინო ყლურტული ისმის მხოლოდ. ყველანი აქ არიან. გურჯანდენი, ქიზიყენი,
თელავენი, ახმეტენი... ეგებებიან სახელგანთ ყმას. მოლოდინი...

და, აი, ისიც. თეთრ ბელაურზე ახხელრებული მხეკაბუკის ხატება მოუძღვის თა-
ვისსავე ცხედარს. გაღმოსავლენს. თვალდებახუჭულ წმინდა რაინდს კახეთის მზე მო-
ელამუნა, მოეფრა.

ერთურთში აირია წამით კენესა, მხვრა, გოდება, ცრემლი... მუხლი მოიყარეს.
ძალუძალ მომუჭულ დაკოყრულ თითებქვეშ მოქცეულა პაწია, შავი ნაბდის ქულები, თუ-
შურს რომ ვეძახით კახელები...

მსველდება იწყება...
ჩაღისფერი, ნინოსჯვრიანი ღრუბები და ხატი წმინდა გიორგისა წინ მიუძღვე-
ბიან წმინდა ნეშტს. ყვავილების ზღვა. სამფეროვანი აღმები და ხაღბი, ხაღბი.
მშობლიური ყვარელი გებებება საყვარელ შვილს, ღამაზე ვაჭკაცო! ამდენი ხაღბი
არ ახსოვს შენს საყვარელ ყვარელს. ცრემლი, ძალიან ბევრი, ახალი და უსაყვედრო.
მოსულნი ამბობენ: "სრულიად კახეთის საღრუბო იყო გამოსული, ანთებული სანთ-
ლებითა და ეროვნული ღრუბებით ხელში მუხლიმღრეკილი მღუმარედ ეთხოვებოდნენ
სათაყვანებელ შვილს."

ატრტილი ხელების ტევრში მოიწვევა მუხის სასახლე. იგი კი წევს წმინდა, უყო-
ფველი, წყნარი, ვაჭკაცური, მკაცრი და ღამაზი.

სვანებმა სულსშემძვრელად ზარი დააბუზუნეს. ზარი, ტანზე ხაოს რომ დაგაყრის
და ძარღვებში ტყვიას ჩაგისხამს. ყოველი მხრიდან ჩამოსულან. ერი და ბერი მია-
ტრლებს უკანასკნელ გზაზე ჭეშმარიტ მამულიშვილს, რომელიც იღვწოდა, რომელსაც
ძალუძალა მოეახლოებინა ის სანუკვარი, ბედნიერი ღვე, რომლის გათენებასაც ასე-
რიგად მოედის ყველა ქართველი.

მზე. უძირო და უღურჯესი ცა. ნათლი მოსილი კაცკასიონი. ნინიკა და შეთე
ელიან ბატონს. შავი კლდე. ზურგიძვალა. მთანი მალაღნი, დაყურსულნი, დაყუდებუ-
ლნი, გასპეტაკებულნი, გახვეებულნი. კიდეც ერთი ღრმა ნაოჭი გარნდა მათ შუბლზე.
ხაღბის ნაკადი ტაბით, ტაღისებურად მოიწვეს. შინდისფერი მიხაკი და ვარდი
უჭინება შავსაფარიან გზას. ოქროსფერი მწათობი სხივებს უგზავნის თვალახუჭულ
ახოვან რაინდს. ალაზნიდან მონაბერი სით ეთამაშება მის მოკლედ შეჭრილ, ოღნავ
შევერცხილ თმას.

ნაბიჯები, ნაბიჯები. მიმე, მაგრამ მტკიცე, ვაგზახად ამგერებულ გულს აყო-
ლებული. სამი თვალკრემლიანი ანგელში მოპყვება მამას. შვილს, ძმას და მიუღღეს
მოპყვებიან... თუმცა არა, იგი ყველასია, ყველას გვეკუთვნის.

ყველამ ერთად უნდა ვიჭლოთ. ერთად მოვიწველოთ, თუ შევძელით, ნალველი და მწუ-
ხარება. ის აღარ არის! რა ძნელია შეველოთ ამ ბაღამ სინამდვილეს.

საოცარი ნათელი იღვრება ციდან...
მოსახვევი და... გამორჩეულ ძამით მოსილი მამაპაპული სახლი, საგვარეულო ეკლე-
სია, წმინდა ილია მართლის ეზო-ყურე. აივანზე გამოკიდული შავრარჩოიანი სურა-
თიდან შავწვერიანი, მოხდენილი, ღამაზი ვაჭკაცი იყურება. მომგვალო სახე, ნა-
თლი მოსილი შუბლი, მბილი, აზრიანი, შორსმჭვრეტელი თვლები. რა მშობლიურია.

ოთანი ნათლისმცემლის ეკლესიას სახეიშო ელფერი დასდებიან. მიუხვად ღიღა
წინაპართ, ღიღო რაინდი. მზით გაკავშავებული, გაჩახჩახებული მოედანი. ხაღრე-
ბით მოფენილ ვეებერთელა ტახტზე ასვენებენ ძვირფას ცხედარს. ოქროსფერი სხივები
უხვად ეღვრება მწოლარე ვაჭკაცს. მზე ეთხოვება მზის შვილს. გარინდული, გაყი-
ნული, გაყიებული, თეთრი სულარით მოსილი კაცკასიონი. ღურჯი ღმუის. ცა მიწი-
საკენ მოექანება.

სიტყვები. სიტყვები. ვაგზახად ამგერებულ გულდან ამომსკლარი, ამოხეტილი,
გაღმონაკალელებული. ხოლო ნაწილია, სიმწრით კრიკაშეჭრულმა, სიტყვა ვერ დასძრა
და ნალველი, კაი ყმის დაკარგვით გამოწვეული, სამარაღვამოდ დაიხვია გულის პარ-
კუჭში...

ასწიეს სასახლე. მუხლს იყრინა კახენი, კუხენი, ქიზიყენი, სვანნი, ფშა-
ვნი, თუშნი, ხევსურნი...

მხედარული, გაქვავებული სახეები. ნათლებსა და ღარებში დარუებული ცრემლი.
ახალი და უსაყვედრო. შესცქერიან. ყველას უნდა სამულამოდ ჩაიბეჭდოს უკანას-
კნელად ნანახი ვაჭკაცური სახე წმინდა რაინდისა.

ღვთიური სხივით გაიცხროვებული ოთანი ნათლისმცემლის ეკლესია. ღვთისმსახუ-
რება. წესს უგებენ ჩვენს რაინდს. მამა-პაპათა სამველში წითელი, ქართული აგუ-
რით ამოგებული ავღამა მიწას. ძველი ოსტატებმა თაღის გადაყვანა დაიწყეს. კი-
რის ტაღახი და აგური ენივთება ერთურთს. ცოტაც და ავღამამ პირი შეიკრა. სამა-
რეში დაბნელდა. სამარაღვამოდ ჩაიბარა ძვირფასი და წმინდა ნეშტი ღიღი რაინდი-
სა, ძველებური, ჩვენებური წესით აგებულმა ავღამამ. მიწა დააყარეს. მიწა, რომ-
მელედაც აიდგა ფეხი ღიღამ ილიამ, მიწა, რომელიც ასე უსახლვროდ უყვარდა, რომ-
მელმაც მიიღო და გულში ჩაიკრა. საყვარელმა ყვარლის მიწამ.

ყვავილები ჩაეკონენ წმინდა საფლავზე ახალმყოფელს. მოვიძვირე უამრავი ცვი-
ლის სანთელი. საკმევლის დამაფრთხელებელი სუნი. ეკლესიური მყუდროება და სიწყნარე...
ღამის სიშავე მოერია მოღურჯო ბინდ-ბუნდს. წმინდა ტაძარს შემოეხვია როგორც
ღერქაქი. შორს სპეტაკი მთები მოჩანან. ფხიზლად, დარაჯად მღვარნი. ღვთის შემდეგ



ა ბ ს ო ლ შ ბ ის ს კ ი ვ რ ი დ ა ნ

პაი, იესო, ვით არეულა
ჭეშმარიტება,
რად ვერ შეიცნო ადამიანმა
თავი ცოფილი,
ან ვით შეპებდა უგუნურმა
ღიადთა ფერთა
თავგატოლება და შენგანა
არ არს გმობილი.
ღმერთო, მიაგე ყველას თავის მისაგებელი,
მართალს მართალი, ცრუ-კაცს თვისი
ტოლი და ფასი,
თორემ დარღუნდა უგუნურ ხელში
მახვილი ბასრი,
კლდეში ძვეს მეფეთ-ხელსაპყრობი
აღმასის მასი.
ღმერთო, მიაგე ყველას თავის მისაგებელი,
ბრმად ნუ აცნებებ ბედისწერავ, ხელებს-
თათმანებს,
აცალე, ყველამ ჩაიხედოს საკუთარ სულში
და მერე... თუნდაც ნარ-ეკალებ გადაატარე!
ღია გიგიტაშვილი



ისინი თავს წათვლების ნებას აღარ მისცემენ. დაღამდა.

შუალამე. მიჩუმათა ყოველი ბგერა. თუმცა... ხმა. გაისმა ხმა, რომელმაც შე- სძრა სივრცე ღამისა. ცხენი, თეთრი, უთერესი, სპეტაკი თოვლივით, ბელაური. ნე- სტობელაბერილი ღიბინებს. შედებ და ნინიკამ მოიყვანეს. თეთრი რაში მხედარს დაეძებდაო. აგერ მხედარიც, ახოვანი, შავწყუროსანი, თეთრი ჩოხა-ახალხი, მო- სვეალებული სიათა და ქამარ-ხანჯალი უმშვენიერეს ბრგვე, ძალუმ სხეულს. ბელაური

მოგვარეთ, ზურაბ ბატონო!.. შედეგ! ნინიკა! ერთურს გადასცენილი სამი ვაჟ- კაცი. წავედით. დროა. გველოებინან. ნესტობელაბერილი სამი ბელაური მოსწყდა აღ- გილს. ორ ვაჟს უმანკო თოვლივით თეთრ რაშზე ამხედრებული ბატონი მიუძღოდა. უნა- გირზე გადაკიდული თეთრი ნაბდის კალთა ფრიალებდა ძალუმად მხოლოდ... სიწყნარე, სიცივე, სიმშვიდე... მოედანს ქარი დაეპატრონა. დიდხანს ისმოდა აქ მისი შტევენა...

ალეკო ცუკილაშვილი

გ ზ ა ტ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს ა კ ე ნ

გმადლობთ ღმერთს ყველაფრისათვის!

გმადლობთ შენ, ღმერთო ჩვენი, რამეთუ დავიბადე, გავიზარდე და ვიმსახურე წმი- ნდა ილია მარტლის სამშობლოში - "საქარ- თველოს ბეთლემში". შენის ყოვლად მოწყა- ლებითა და შეწვევით ილიას მუხეუშია მი- მილო მე, ობოლი, და გულში ჩამიკრა... ეს გონების სიუხვის მამული იყო ჩემი ეს გონების სიუხვის მამული ჩემი დედაც იყო, მამაც, მებობარაც და მასწავლებე- ლიც. მან მასწავლა, უპირველეს ყოვლისა, ხალხის, მოყვასის სიყვარული და მეც, შე- ძლებიდაგვარად ჯვდილობდი ილიას "მარ- თალი, ღვიძლი სიტყვა" მეთქვა ჩემი ხა- ლისათვის და ვნატობდი საქართველოს გაილიავენას, რამეთუ როგორც ჩემი აღ- მზრდელი და ილიას ეზო-კარის "ახლანდე- ლი მთურავი" - ბატონი ილი იტყობა: "გა- ლიავენა - სხვა არა არის რა, თუ არა ერის თვითმყოფლობა და შრომის ღვაწლი- რიტი სუფთა ქვეყნად; სხვა არა არის რა, თუ არა ადამიანის განკაცება ისე, სხვა ძირს არ დასცეს, რომ თვით ამაღ- ლდეს... გაილიავენა - ეს ჩვენი სულის მზიანობაა, ჩვენი სულიერი ზეასვლის ნიშანი: "გებრალებოდეს, ნუ პრისხავ მტერს, შენზე შურით მწვდომსაო, კეთი- ლი ვარად უფარე, შენთვის ბორბის მნლო- მსაო, მადლისა წყაროს ასმევე ცოდვის გუბეში მღვთმსაო". ილიაჟ ქრისტესავეთ დევნულ ვითარებაში დაიბადა და შემდეგ ისიც ქრისტესავეთ გაწირეს... და რა-

გორც ჯვარზე გაკრული ქრისტე სიციხ- ლის ზღაღღ წყობიანად, ღვთაებრივი სი- ყვარულით გაბრწყინებული შესახოვდა შემოქმედს ადამიანთა პატიებას, ასევე ილიამაც, ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, სულაბედელ შეუნდო თავის გზაბნეულ ძმებს და შესახოვა მამა-ღმერთს: "რომ მტერთათვისაც, რომელ თუნდაც გულს ლა- ხვარი მკრან, გახოვდე: "შეუნდე - არ იციან, ღმერთო, რას იქნან!"

წმინდა ილია მარტალი მთელი თავისი სიციხვლი, მთელი თავისი სულიერი სიმ- ლიერე და ღმერთისგან ნაბობები მალაღი ნაჭი შესწირა ემოსამულისა და სარწმუ- ნობის დაცვას, ადამიანის მიერ აღამი- ანისადმი სიყვარულის განმტყიცებას და მეც მის ერთ-ერთ უბრალო მსახურს, თავი ნახებვრად ღვთისმსახურად მიმარჩადა. მხუ- თამტი წელიწადი კრძალვით დავდროდი ღვაწლავითა ნატრულად...

ახლა კი, მოვედი შენდა, უფალ, ღმე- რთო ჩვენი და ჩემს დარჩენილ ცხოვრებას მალაღი შენ გიძღვნი. იყავ მწე ჩემდა და მჭარველ და მამსახურე ჩვენი ერის სულიერი და ზნეობრივი აღდგომისათვის! მწყურს მივიღო სათანადო სულიერი ცოდნა, რათა რწმენა დაგებულს რწმენა- დაკარგულს, "დავრლომილი აღვადგინო, უნუგებოს ნუგეში მოვფინო, მტრისაღს ცრემლი მოვსწმინდო, მუშაკს შრომა გა- ვუადვილო" და რადგან "არავინ აღანდის სანთელი და შედგის იგი ქუთუმი ხვიმირ-

სა, არამედ ზედა სასანთელსა დაღვიან, რათა ენთობოდეს ყოველთა", მეც მინდა ვიყო "ნათელი სოფლისა", ჩემი ხალხის, სამშობლოს სიყვარულში დავიწვა და თუ საჭირო გახდა, თველორე მღვდელივით თავიც გავწირო, რამეთუ შენს შემდგომ, ღმერთო ჩვენი, არს საქართველო!

გმადლობ, უფალ, რამეთუ ღირს მყავ მე, უღირსი მონაი შენი, ღვთაებრივების შეცნობისა. გამოვიხიხე ლოცვა-კუთხე- ვას მისი უწმინდესობისა და უნებარე- სობის - ილია II-საგან, რათა დალოცოს ჩემი არჩევანი და მეც, ვეცდები ჩავწ- ვდე ჩვენამდე მოტანილ უმდიდრეს სულიერ საგანძურს, ღირსეულად დავიცვა და ვა- ვუფრთხილდე მას, არასოდეს დავუტოო ღვთაებრივებაი, "არცა განცვი შენ, ჩვე- ნო სიამაყეც - მარტალიაღდებლობაი", არ გამოგვადო ღმერთო ჩვენი...

"ღმერთი არავინ სადა იხილა", - ამ- ბობს წმ. იოანე თავის სახარებში. აღა- მინაური ბუნებისათვის მიუწვდომელია ის ღმდებულება და ბრწყინვალეობა, რითაც გა- რემოცულია ღმერთი. მაგრამ განწმინდილი გულით ადამიანს შეუძლია ღმერთის ხილვა: "ნეტარ იყვენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ" - ბრძანებს წმ. მა- ხარებელი მათე. ღვთაებრივ მოწმუნე სწავთ მაცხოვარი, თუმცა იგი არ უბილავთ ხორციელად, მაგრამ ნახეს სულიერად. ისი- ნი არ ეძებენ განსაკუთრებულ სასწაულებს მისი ღვთაებობისა და იესოჟ ახლს არის მათთან, როგორც გულით მხილვებთან.

ღვთაებრივი სარწმუნოება აუცილებელია ადამიანის სასუქუნო ცხოვრებისათვის. რწმენის გარეშე ადამიანი ეფლობა ამა- თებაში, ამქვეყნიურ წარმავალ ყოფაში. ღმერთის სასუქუნოებთ კი ვეზიარებთ მარადიულსა და წარუვალს.

"უკეთუ გნებავს ცხოვრებასა შესვლა, დაიმარზე მცნებანი" - ბრძანებს მა- ცხოვარი. ეს მცნებები, რომლებიც ღმე- რთმა მოგვცა ჯერ კიდევ მოსეს მიერ, შეიცავენ ორგვარ სიყვარულს - სიყვა- რულს ღვთისადმი და ადამიანისადმი. მაგრამ ეს არის მხოლოდ გარეგანი სჯუ- ლი. გარდა ამისა, თითოეული კაცის გულ- ში არსებობს კიდევ შინაგანი სჯულიც, "ჩვენი პატარა ღმერთი", რომელსაც სინ- ლის ვეძახით. ამ სჯულთა ერთობლიობით, სჯულის კანონით უნდა ვიცხოვროდ, რომ ვიხილოთ ღვთის სასუქუნოები. ვინც ასრუ- ლებს სჯულის კანონს, ვისაც ღვთის შიში აქვს, მას სხვა აღარავისი და აღარაფრის ეშინია. ყველა კაცში ის ხედავს თავის ძმას, მოყვასს, რომელიც სულით და გუ- ლით უყვარს, ყველასათვის სიკეთე სურს. ცხოვრების ყველა მოვლენაში ის ხედავს მხოლოდ ღვთის ნებას, მარადის კეთილსა და სახიერს.

ღვთის შიშთან, ღვთაებრივ რწმენას- თან ერთად აუცილებელია საზოგადო სარ- წმუნოებრივი ცხოვრებაც - ეკლესიური ცხოვრება. ღმერთი ამბობს: "სადაც ორი ან სამი შეკრებილია ჩემი სახელით, მეც მუნ ვარ უბილავალო". მამასადამე, ცუ-

ღესიური ცხოვრების გარეშე, მარტოოდენ საკუთარ თავში ჩაკეტილი სარწმუნოებით ვერ მივალთ ღმერთის მიერ აღქმულ სა- სუქუნოებამდე.

ეკლესიაში სიარულს დიდი კეთილისმო- ფელი გავლენა აქვს ყოველი მოწმუნესა- თვის. შევდივართ რა ეკლესიაში, იქ ყოველ- თვის გვაგიწყდება, რა დროა, როგორი ამი- ნდია... ხატები! ჩვენ მუხლმოდრეკილნი და ღმობიერნი ვდგევართ ხატებთან, ვუნ- თებთ სანთლებს, აღვუვდენთ ლოცვებს, განწმუნებულნი სოფლის ამით ზრუნვას, სი- ნანაულის ცრემლებს ვაჭრქვევთ მათ წინა- შე. ვისმენთ რა ღვთის სიტყვას, ამ დროს ჩვენს გულში შედის რაღაც ზეციური არსე- ზა, გული გვთბება სიხარულით, სიყვარუ- ლით. ეს ქრისტე გაღმთვიდა ჩვენში, გაათ- ბო ჩვენი გულები ზეციური სიბოთით და ჩვენც მზადა ვართ ვქმნათ ყოველივე კე- თილი საქმე, ყველას შევეუნლოთ და ვაა- ტიოთ, ყველა შევიყვართ. მარცვა-ლოც- ვებისგან განწმინდილნი და სულიერ მო- დვრისაგან ცოდვათა შენდობილნი, ჩვენ ვეზიარებთ ქრისტეს სისხლსა და ხორცს. ამ საილუმოში ქრისტე მოის ჩვენთან, გვეცხადება, იმვედრებს ჩვენში მთელი თავისი არსებით და ბედნიერნი ვართ, რამეთუ სახედ ვქმნებით ურთიერთს "სი- ტყვიათა, ცხოვრებითა, სიყვარულითა, სუ- ლითა, სარწმუნოებითა, სიწმიდითა" (ვა- ვდე მოციქული).

"ღმერთი სიყვარულია, გვამოდგრავს ჩვენი ერის სულიერი მწყემსი, უწმიდე- სი და უნებარესი, დიდი ბიუფე ჩვენი ილია, - ქრისტე მაგალითია სიყვარული- სა, სული წმიდა - ძალი სიყვარულისა, ეკლესია საგანძურს და მჭარველი მისი, ქრისტიანობა - სიყვარულის რელიგიაა, ქრისტიანი კი ნიშნუი სიყვარულისა."

"ამ პატარა საქართველოს ვადავუ- ლელე მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყ- ლარი. ქვად ჩვენი ძველები ვიხმარებდ და კიკად ჩვენი სისხლი და ბუეთა ჯოჯობე- თისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყვიდთ, ვავიფლიტენით, თავი ვავწირეთ, ცოდ- შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვას- წირეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჟა ერმა ქრისტიანობა შევიწა- ხეთ..." - წერდა წმ. ილია მარტალი.

მოდით, ჩვენც გავუფრთხილდეთ ჩვე- ნი წინაპრების მიერ ამორჩეულ და მა- თი სისხლითა და ცრემლებით ფასად და- ცულ, ღვთაებრივებისაკენ მიმავალ გზას. ამ გზამ მოგვიყვანა ჩვენ დღემდე, ეს გზა გადაგვარჩენს მომავალშიც. დავან- თოთ ჩვენს სულში მარადიული ღვთაური ცეცხლი, ჩვენი გულები გავაშხალოთ იე- სო ქრისტეს ღირს საყოფელ სახლად და მამინ უფალიც მოვა, დაემკვიდრება ჩვენს შორის და გვეტყვის: "შვილობა ყოველთა!"

ბეჟან ჩიხორლიშვილი



რედაქტორი: ალექო ცუკილაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ილო ბეროშვილი, იზა სიფრაშვილი, ლია გიგიტაშვილი, მალხაზ ქანდაურიშვილი.

საზოგადოების მისამართია: ყვარელი, ა. ჭავჭავაძის 99, ტელეფონი: 2-00-97.